პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 73 (7634)

15 აპრილი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ნომერშია:

ისევ და ისევ ყაიმი
(მე-2 გვ.)

არდაუვიწყება მოყვრისა...
(მე-2 და მე-3 გვ.)

წარმატების მიუხედავად
უკმარობის გრძნობა
(მე-4 გვ.)

10 ათასი ჟურნალისტი
ერთობ ბევრია
(მე-4 გვ.)

რას გააკეთებდით
ავტორიტეტის აღსადგენად?
(მე-4 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლიმპიური თამაშების გადასარჩენად

ინგლისის წამყვანი გაზეთების სპორტული ჟურნალისტები, ბრიტანეთის საზოგადოებრიობა, რომლისთვისაც ძვირფასია ოლიმპიური მოძრაობის იდეალები, იზიარებენ სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შეშფოთებას შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ ოლიმპიური ქარტიის შეუწყნარებელი დარღვევებისა და ამ ქვეყანაში XXIII თამაშების წინ გაჩაღებული ალვირახსნილი ანტისოციალისტური კამპანიის გამო.

„საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ 9 აპრილის განცხადებაში ამერიკის ხელისუფლების მისამართით წამოყენებულ ბრალდებებს მსოფლიოს ყველა ქვეყანა დაუჭერს მხარს“, — წერს ლონდონის „დეილი მეილი“. გაზეთის აზრით, „ბევრი ქვეყანა, მათ შორის დიდი ბრიტანეთიც, შიშობს, რომ ლოს-ანჯელესში შეჯიბრების მონაწილენიცა და მაყურებლებიც უსასტიკესი კომერციული ექსპლუატაციის მარწუხებში მოექცევიან, ხოლო თავად ასპარეზობა ოლიმპიადების ისტორიაში არნახულ ძარცვა-გლეჯად იქცევა“. გაზეთი „დეილი მირორი“ წერს, რომ „თამაშების გაკომერციულებისაკენ სწრაფვამ მეტისმეტად ფრთო მასშტაბი მიიღო. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული კომიტეტის განცხადება არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი. შეერთებულ შტატებში სიხარბემ ისეთ დონეს მიაღწია, რომ თვით ოლიმპიური ცეცხლიც კი ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა. თამაშების „დამფინანსებელი“ კომპანიები მზად არიან ყოველ მსურველს 3 ათას დოლარად მიჰყიდონ ქალაქის ქუჩებში ოლიმპიური ჩირაღდნის ტარების უფლება (მანძილი — ერთი კილომეტრი). საბერძნეთის სასტიკი პროტესტის შემდეგ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ასეთ ვაჭრობაზე, — წერს გაზეთი, — მაგრამ სინამდვილეში გეგმები დღემდე არ შეუცვლიათ.“

„შეერთებული შტატების მიერ ოლიმპიური ქარტიის სისტემატურმა დარღვევამ ოლიმპიურ მოძრაობაში ნამდვილი კრიზისი გამოიწვია“— აღნიშნავს „მორნინგ სტარი“.

საბჭოთა კავშირი სამართლიანად შიშობს იმის გამო, რომ ლოს-ანჯელესში ამ ქვეყნის სპორტსმენთა უსაფრთხოების დაცვა ეჭქვეშ დგას. ამ შიშს იზიარებენ ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ოლიმპიური კომიტეტები.

„დღეს უკვე სავსებით აშკარაა, რომ ოლიმპიადასთან დაკავშირებით მეტად სერიოზული ვითარება შეიქმნა და საბჭოთა კავშირს სრული უფლება აქვს მომავალი თამაშების ორგანიზატორებს ოლიმპიური ქარტიის დებულებათა მტკიცედ დაცვა მოსთხოვოს, — წერს „მორნინგ სტარი“. საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება უნდა მივიჩნიოთ გადამწყვეტ ნაბიჯად ოლიმპიური თამაშების გადარჩენის გზაზე... ამ განცხადების მიზანია თამაშების დაცვა მათი ამჟამინდელი ორგანიზატორების გაუმაძღრობისა და დაუჯერებელი სიხარბისაგან, გაკომერციულების ცდისაგან, რაც ამ ასპარეზობას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს“, — დასძენს გაზეთი.

„ტაიმსი“ და „დეილი ექსპრესი“ მიუთითებენ, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში. ისინი პირდაპირ და ხაზგასმით აღნიშნავენ: „ლოს-ანჯელესში მშვენივრად ესმით, რომ ოლიმპიადის წარმატება მთლიანად და სავსებით დამოკიდებული იქნება ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობაზე“.

ერთმა ქულამ გადაწყვიტა

თბილისის ველოდრომზე საკავშირო შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, 13 აპრილს, დილიდანვე გამოიდარა და მსაჯებს ასპარეზობის შეუფერხებლად ჩატარების საშუალება მიეცათ. სარბიელზე თავდაპირველად 2 წრეზე გამოთიშვით გუნდური რბოლის მონაწილეებს მოუხმეს. რბოლა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა — საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ა. კოროტკოვი, ა. დოცენკო, ო. მჭედლიშვილი და ა. პანფილოვი იყვნენ, ამ შეჯიბრებაზე პირველი მარცხი განიცადა. თუმცა ქვეყნის უძლიერესმა მრბოლელებმა სტარტი ყველაზე გვიან აიღეს, არმიელთა გუნდის (ა. ზელჩ-ლოჩმელისი, ო. გრიშენკო, ხ. ვარვანინი, ა. ჩასოვნიკოვი) მიერ ნაჩვენები შედეგის (45,220) გაუმჯობესება ვერ შეძლეს და მე-2 ადგილზე აღმოჩნდნენ (45,497). მესამე ადგილზე ლატვიელთა კვარტეტი გავიდა (45,784).

მომდევნო სახეობა, ე. წ. სასიგნალო სპრინტი ჯერ კიდევ 12 აპრილს დაიწყო, მაგრამ უამინდობის გამო შეწყდა. ამ შეჯიბრების წესი ასეთია: სპორტსმენები ტრეკს რამდენიმე წრეს შემოუვლიან (წრეების რაოდენობა მსაჯის ნებასურვილზეა დამოკიდებული) და სიგნალის (ზარის ხმის) გაგონებისთანავე იწყებენ ფინიშს.

ა. პანფილოვმა და ო. მჭედლიშვილმა ერთი დღით ადრე მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება, ამიტომ მშვიდად ელოდებოდნენ დანარჩენი ექვსი ფინალისტის გამოვლენას. მათ შორის აღმოჩნდა კიდევ ერთი ქართველი მრბოლელი, ოლიმპიური მომზადების ცენტრის „ივერიის“ გუნდის წევრი გია მუმლაძე (მწვრთნელი ო. დადუნაშვილი). სასიგნალო სპრინტის ფინალიც დაუღალავმა ა. პანფილოვმა მოიგო, მჭედლიშვილი მას სულ მცირე მანძილით ჩამორჩა, მესამე ადგილზე გავიდა ლატვიელი აგრის სუტრა, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრმა გ. მუმლაძემ მე-6 ადგილი დაიკავა.

50 წრეზე ჯგუფური რბოლა (10 შუალედური ფინიშით) თავდაპირველად მშვიდად მიმდინარეობდა, მაგრამ 20 წრის შემდეგ, როდესაც ლვოველი ე. კამინსკი და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი პ. რიბინი ძირითად ჯგუფს მოსწყდნენ, მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და ჯგუფი გაიშალა. ამ დღეს გამარჯვებისათვის 56 სპორტსმენი იბრძოდა.

რბოლის მიწურულს ყველაზე აქტიურ სპორტსმენებს, მათ შორის „ივერიის“ წარმომადგენელ თემურ გიგოლაევს და არმიელ ოლეგ ვოლოცკოვს, უკვე ორი წრის დისტანციური უპირატესობა ჰქონდათ. ყველაფერი უკანასკნელ შუალედურ ფინიშზე გადაწყდა. იგი შესანიშნავი სპურტით მოიგო გიგოლაევმა. ვოლოცკოვი ფინიშთან მეორე მივიდა, მაგრამ შედეგების შეჯამების შემდეგ ყველაზე მეტი ქულა (14) აღმოაჩნდა და, რასაკვირველია, გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. 18 წლის თ. გიგოლაევი (მწვრთნელი რ. კუპრეიშვილი) გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი ტულელმა ს. სურკოვმა მოიპოვა.

თბილისის ველოდრომზე მიმდინარე საკავშირო შეჯიბრება, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, უძლიერესი საბჭოთა მრბოლელებისათვის მომზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა სატრეკო ველოსპორტში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა. ახალგაზრდა სპორტსმენებს ტიტულოვან მეტოქეებთან პაექრობაში მიღებული გამოცდილება უსათუოდ გამოადგებათ.



გიორგი ჩოჩიშვილი.

სურათებზე: სასიგნალო სპრინტის ფინიშზე; ა. პანფილოვი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

დებიუტანტი

ჯუმბერ ბერიშვილი

შაში

დაიბადა 1969 წლის 3 აგვისტოს. ასუჯრიან შაშს თამაშობს 1976 წლიდან. 1979 წელს თანატოლებს შორის თბილისის ჩემპიონის სახელი მოიპოვა და პირველი თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. კიდევ ორი წლის შემდეგ ვაჟთა შორის თბილისის ჩემპიონი გახდა და ოსტატობის კანდიდატის წოდებაც მიიღო. 1982 წელს ჯუმბერი საქართველოს ჩემპიონია ჭაბუკთა შორის. 1983 წელს „დიდი შაშის“ საკავშირო გათამაშებაში III ადგილი დაიკავა, 1984 წელს კი სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის.

ნორჩი მოშაშე სწავლობს თბილისის 102-ე საშუალო სკოლის VIII კლასში. 1982 წლიდან მას წვრთნის საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი არტურ გოიხმანი.

ჯუმბერ ბერიშვილი მიწვეულია სსრ კავშირის ჭაბუკ მოშაშეთა ჩემპიონატში და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში.

კარპოვმაც ყაიმით დაიწყო

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. I ტურის ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა. ამ დღეს მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი შეხვდა დე ფირმანს (აშშ), აგდესტაინი (ნორვეგია) — მაკარიჩევს (სსრ კავშირი), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — არნასონს (ისლანდია), ვედბერგი (შვეცია) — ჰიუბნერს (გფრ), ადორიანი (უნგრეთი) — მაილსს (ინგლისი).

326 მეტრ სიმაღლეზე

ვილნიუსში, აი, ამ სიმაღლეზე — სატელევიზიო კოშკურაზე მოწყობილ დარბაზში — 13 აპრილს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტმა გარი კასპაროვმა უჩვეულოდ აღნიშნა თავისი დაბადების 21 წლის თავი. მან ვილნიუსელ მოსწავლეებთან ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 26 დაფაზე. კასპაროვმა 21 პარტია მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა.

ლაგვილავა ლიდერის კვალში

საფრანგეთში მთავრდება მსოფლიო პირველობა 16 წლამდე გოგონებსა და ბიჭებს შორის.

9 ტურის შემდეგ გოგონათა ტურნირში ლიდერობს რუმინელი მადალინა სტროე — 6,5 ქულა. მას კვალში მიჰყვება ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა — 5,5.

ბიჭების შეჯიბრებაში 7-7 ქულით ლიდერობენ ალექსეი დრეევი (სსრ კავშირი) და ვისვანატან ანანა (ინდოეთი).

„ბოსნა—84“

სარაევოში (იუგოსლავია) დამთავრდა XXIII ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი — „ბოსნა-84“. შეჯიბრებაში 12 დიდოსტატი და ორი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა.

13-დან 9-9 ქულით I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა იან ტიმანმა (ჰოლანდია) და ვიქტორ კორჩნოიმ (შვეიცარია). 7,5-5,5 ქულით III-IV ადგილები — დიდოსტატებმა არტურ იუსუპოვმა (სსრ კავშირი) და ჯონ ვან დერ ვილმა (ჰოლანდია).

ბოლო პარტია გადაწყვეტს

პარასკევს ქალაქ როტერდამში (ჰოლანდია) ჰ. ვირსმამ და ვ. ვირნიმ 31-ე სვლაზე ყაიმით დაამთავრეს მეცხრამეტე პარტია. ამრიგად, ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობის ანგარიში კვლავ საყაიმოა — 9,5:9,5 (+1—1=17).

გუშინ დიდოსტატებს ბოლო, მეოცე პარტია უნდა გაეთამაშათ. ამ პარტიის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში ჰ. ვირსმა მეხუთედ გახდება მსოფლიო ჩემპიონი.



ხსოვნის დღე

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს..."

მართლაც რამდენი კარგი კაცი წავიდა ამქვეყნიდან, რამდენი ახლობელი მოვისაკლისეთ... მათი ნათელი ხსოვნა და სახელი მალამოდ ედება მათივე სიკვდილით ნატკენ გულს. ზოგმა მოასწრო სიკეთის თესლის უხვად მობნევა, ზოგსაც შუა გზაზე შემოაღამდა. რამდენი ტკივილიანი მოგონება აგეშლება კაცს, რამდენი ტკბილ-მწარე დღე გაგახსენდება... ხან მათ ბედისმწერალს დაწყევლი, ხანაც თავს ინუგეშებ: „ყველანი სიკვდილის შვილები ვართ".

თურმე როგორ გვჭირდებოდა ეს დღე ჩვენ, ცოცხლებს. უფრო ჰუმანურები, უფრო ფიქრიანები, უფრო კეთილშობილები გავხდით.

რამდენმა სახელოვანმა სპორტსმენმა დაგვწყვიტა გული თავისი სიკვდილით, რამდენი რეკორდი დარჩა დაუმყარებელი, რამდენი გოლი — გაუტანელი, რამდენი სიმაღლე — დაუძლეველი...

დღეს, რა თქმა უნდა, ყველას ვერ გავიხსენებთ. რამდენიმე მოგონება სიმბოლურად გაგვახსენებს თითოეულ მათგანს, ყველას, ვინაც თავისი სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა და ხელთუქმნელი ძეგლი აიგო ჩვენს გულსა და ხსოვნაში.

გიორგი ნასყიდაშვილი

აბა, რომელ მცხეთელს არ უცდია ძალა ნიჩბოსნობაში? აქ, მტკვარზე, ბევრი სპორტის ოსტატი გაიზარდა. გიორგის უფროსი და-ძმაც სპორტის ოსტატია, მაგრამ მან მაინც ყველას აჯობა. გოგი საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი იყო ბაიდარებით რბოლასა და სანიჩბოსნო სლალომში. საზღვარგარეთაც ბევრჯერ გამოსულა. ჩვენი ნიჩბოსნებიდან ერთადერთმა მან მოიპოვა მიუნხენის ოლიმპიადის საგზური.

ბუნებით უშიშარი იყო. რამდენჯერ ამოტრიალებულა მისი ნავი მდინარის აბობოქრებულ, აქაფებულ ტალღებში და გოგი ქვეშ მოჰყოლია, მაგრამ უმარჯვია და რაღაც სასწაულით მაინც გადარჩენილა.

ლამაზად ცხოვრობდა. კეთილი იყო. უნდოდა ყველასთვის გაენაწილებინა თავისი გულის სითბო. სწორედ საქველო საქმეს მოჰყვა ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც ახალგაზრდა გოგი ნასყიდაშვილი იმსხვერპლა.

მისი დაკრძალვის დღეს უამრავი ხალხი ჩავიდა მცხეთაში. ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქიდან, რათა უკანასკნელად ეცათ პატივი და გამომშვიდობებოდნენ კარგ სპორტსმენს, ძვირფას მეგობარს.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. გავა დრო. გვჯერა, მამის უდროოდ ჩამქრალ ვარსკვლავს ახალი ძალით აანთებს ისევ გიორგი ნასყიდაშვილი — შვილი ჩვენგან წასული შესანიშნავი სპორტსმენისა.

ემზარ ნებიერიძე.

ხიბლი დაუვიწყარი ქალისა

ჩემს თაობას მისი სპორტულ სარბიელზე გამოსვლა არ უნახავს, არც მისი ისტორიული თბილისური მსოფლიო რეკორდის მოწმე ყოფილა, იქნებ არც საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში მისი ტრიუმფით აღფრთოვანებული რეცენზიები წაუკითხავს. სამაგიეროდ მშვენივრად ვიცით: ის ქალი, ყველა სადღესასწაულო პარადზე სპორტსმენთა კოლონას რომ მეთაურობდა, მკერდი უთვალავი მედლით რომ ჰქონდა დამშვენებული და თავაწეული მოაბიჯებდა, ნინო დუმბაძე იყო.

იყო ამ ქალში რაღაც ანდამატური, ერთნაირად რომ ხიბლავდა და იზიდავდა დიდსა და პატარას. სპორტის უნაპირო სიყვარული და ფანატიზმამდე მისული ერთგულება, კომპეტენტურობა, სამართლიანობა, ობიექტურობა... ვინმეს გაუჭირდებოდა და მისი თანადგომის იმედი ჰქონდა, გაუხარდებოდა და იცოდა — მისი სიხარულით ცას ეწეოდა ნინო.

მძლეოსნობის, და საერთოდ, ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარმა იცის, რა წონადი იყო ნინო დუმბაძის თითოეული გამარჯვება. კიდევ უფრო ძვირფასია ის წარმატებები ახლა, ათეული წლების შემდეგ, როცა ქართული მძლეოსნობა ასე ჩამორჩა. სპორტის ქომაგმა ისიც კარგად იცის, რომ ნინო დუმბაძე ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რვაჯერ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, თითქმის ოც წელიწადს არ დამარცხებულა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, ოცდასამ წელიწადს ვერავინ შეჰბედა მის საკავშირო რეკორდს, მაგრამ ყველაზე ფასეული და გაუხუნარი მაინც ის რეკორდია, ნინომ თბილისის „დინამოს" სტადიონზე რომ დაამყარა და საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენის სახელი.

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას მოჰკიდა ხელი. თავისი საქმის გულით კეთება იცოდა, ყველაფრის გაღება უნდოდა და სამაგიეროდ არაფერს ელოდა.

— მახსოვს, ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, — იგონებს ნინო დუმბაძის ყოფილი მოწაფე ალექსანდრე გომართელი. — ქალბატონ ნინოსთან ნორმატივებს ვაბარებდით ბადროს ტყორცნაში. ნორმა ორმოცი მეტრი იყო. თითოეულს სამ-სამი ტყორცნის უფლება გვქონდა. ბადრო მოჯადოებულივით ეცემოდა ოცდამეჩვიდმეტე, ოცდამეთვრამეტე, ოცდამეცხრამეტე მეტრზე. ნორმატივის ჩაუბარებლობა სტიპენდიის დაკარგვას ნიშნავდა. რა დასამალია და, ზოგიერთი მასწავლებელი ფიქციურად გვაძლევდა ჩათვლას, ზოგიც საერთოდ არ გვიფორმებდა. ნინოს არც ერთი არ შეეძლო. მანამდე გაიწვალა თავი და ჩვენც არ მოგვეშვა, სანამ ბადრო ორმოც მეტრზე არ გვატყორცნინა.

სხვასაც ბევრს რასმე იხსენებენ მეგობრები, ძველი თაობის სპორტსმენები, მისი აღზრდილები. მის დიდ სახელსა და ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა სპორტსმენთაგან ნინო დუმბაძე ყველაზე პოპულარული სპორტსმენი იყო, ისიც, რომ ჩეხოსლოვაკიაში არსებობს დუმბაძის სახელობის მტყორცნელთა კლუბი.

საქართველოში კი, სადაც მის სახელს დავიწყება ისედაც არ უწერია, სასურველია დაწესდეს ნინო დუმბაძის ხსოვნის მემორიალი, რომელშიც ჩვენი სპორტსმენების გარდა, უცხოელი მძლეოსნებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ნანა ჯოხარიძე.

როგორც მზის სხივი...

— **მე** მომწონს შალიბაშვილის ნახტომები, მისი მოძრაობა მოხდენილია, ხოლო ფრენისას იგი არაჩვეულებრივად პლასტიკურია. შეუძლია შეასრულოს ყველაზე რთული ნახტომები. ეს სიმპათიური ყმაწვილი გიზიდავს თავისი გულღიაობით, მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა.

ეს სიტყვები ცნობილი საბჭოთა წყალმხტომელის სერგო შალიბაშვილის მისამართითაა ნათქვამი და ეკუთვნის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, ამერიკელ გრეგ ლუგანისს. 1979 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში იგი მონაწილეობდა საბჭოთა წყალმხტომელებთან სამატჩო შეხვედრაში თბილისში. სწორედ მაშინ გაიცნეს ერთმანეთიც.

იმ მატჩში ჩვიდმეტი წლის სერგო სათადარიგოდ იყო გამოცხადებული და კონკურსგარეშე მონაწილეობდა, ხოლო ლუგანისმა მოხიბლა სპორტის მოყვარულები თავისი ოსტატობით. მაშინ დაისახა ქართველმა სპორტსმენმა ყველაზე მაღალი მიზანი. თანდათან ართულებდა ნახტომების პროგრამას, იმაღლებდა შესრულების ტექნიკას. განსაკუთრებით ძლიერი იყო სერგო ათმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში. მან ზედიზედ სამჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი და გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო ტურნირში.

— სერგოს დიდი სტაბილურობა ახასიათებდა, — თქვა 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვლადიმერ ვასინმა. — ამის მიღწევა უსაზღვრო შრომისმოყვარეობითა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით შეძლო.

ერთხელ საუბარში თვითონ სერგომაც აღნიშნა: „დიდ გამარჯვებას რომ მიაღწიო, ისე უნდა იცხოვრო, როგორც ამას გრეგ ლუგანისი, დავით ამბარცუმიანი, იან ჰოფმანი აკეთებენ".

თუ როგორი იყო მისი სამომავლო გეგმები, ამაზე სერგოს ჩანაწერები მოგვითხრობენ. დღიურში არის გრაფიკი, რომელიც სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. აქ უკანასკნელი ჩანაწერია „ოლიმპიადა-84", ხოლო გვერდით კი — რომი „1". ობიექტურად სერგოს ეს შეეძლო. ედმონტონში გამართულ უნივერსიადაზე შალიბაშვილი მზად იყო დაემტკიცებინა თავისი ოცნების რეალობა. კანადაში რომ ჩავიდა, შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო და პირველი შვიდი ნახტომის შემდეგ ლუგანისთან ერთად ლიდერობდა. საბედისწერო გამოდგა საბჭოთა სპორტსმენის მერვე ცდა.

სერგოს სიკვდილს გულგრილი არავინ დაუტოვებია. ამას მოწმობს რამდენიმე ასეული წერილი და დეპეშა, მისი ოჯახის სახელზე რომ მოვიდა. კანადის პროვინციის ალბერტის უნივერსიტეტის ჰოსპიტალში ექიმები მთელი კვირის განმავლობაში ყოველ ღონეს ხმარობდნენ მხტომელის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ, როგორც იტყვიან, განგებამ არ ინება.

ერთ-ერთ წერილში იმ შეჯიბრების მონაწილენი სერგოს დედას წერენ: „თქვენი ვაჟი თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის ღირსეული წარმომადგენელი იყო. იგი ნამდვილი გმირია და ჩვენს ხსოვნაში ყოველთვის ასეთად დარჩება".

ასე მზის სხივივით ნათელი დარჩება სერგო შალიბაშვილი მათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

შალვა შალოლაშვილი.



სურათზე: მეგობრები და მეტოქეები სერგო შალიბაშვილი და გრეგ ლუგანისი.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მისი სულის თანამგზავრი

...**რაკი** მათემატიკოსთა საზოგადოების სხდომაზე არ მოვიდა, შინ გავუარე. ოდესიდან სტუმრები სწვეოდა და პატარა ვახშამი გაემართა. თბილად შემხვდა, გვერდით მომისვა. ხალისიანად იყო, სულ არ ჰგავდა ადამიანს, რომელსაც რამდენიმე დღეში ცხოვრებიდან წასვლა ეწერა. სტუმრები რომ აიშალნენ, შენ დარჩიო, მითხრა და ბლოცი შემომთავაზა. უარი ვაკადრე, ვინ იცის, გული ვატკინე, მაგრამ სწორედ მის გულს გავუფრთხილდი, ბოლო ხანებში ასე რომ აწუხებდა....

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით კვესელავა (1911–1978 წწ.) ქართული მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. იგი ოცზე მეტ წელს იყო დირექტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრისა (ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი), რომელიც მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა და მისივე ხელმძღვანელობით ახალი ტიპის მსხვილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად იქცა; და არა მარტო ასეთ დაწესებულებად, არამედ აკადემიის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთ კერადაც კი. ბატონი დავითი სპორტის დიდი პატივისმცემელი, ჭადრაკის, ფეხბურთისა და კალათბურთის მხურვალე გულშემატკივარი იყო. სწორედ მისი თაოსნობით მოეწყო ჩვენს ინსტიტუტში ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები, სადაც თავისუფალ დროს ხალისით თამაშობენ სხვადასხვა „წონის" თანამშრომლები.

რამდენი იღვაწა მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებს შორის ჭადრაკის თამაშის პოპულარიზაციისთვის და რაოდენ სამართლიანია, რომ აქ დაწესებულია პროფესორ დ. კვესელავას საჭადრაკო მემორიალი, რომელიც ამ მაისში მესამედ აიღებს სტარტს. ვლადიმერ მაიაკოვსკისა არ იყოს, ღირსეული ადამიანების სახელები გარდაისახება გემებად, სტრიქონებად, სხვა უკვდავ რამეებად. ეს საჭადრაკო მემორიალიც ამგვარად გარდასახულთა რიცხვს მიეკუთვნება.

თამაზ ებანოიძე,

ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

სანამ სული გვიდგას

მისი ცხოვრების შინაარსი იყო მისივე მეგობრები, სამუშაო გატაცება, წლების მანძილზე ნააზრევი და ნაფიქრალი. თავის ფიქრს თავს არავის მოახვევდა. პირიქით, სხვების მიმართ რაღაც საგანგებოდ მგრძნობიარე და ფაქიზი იყო. მაგრამ ოპტიმიზმის ისეთი უშრეტი მარაგი ჰქონდა, ადრე თუ გვიან უსათუოდ თქვენც გადმოგდებდათ. ასეთი წესით როცა ცხოვრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება ხარ და მიწაზე მტკიცედ გიდგას ორივე ფეხი.

გიგლა ფირცხალავა მართლაც პიროვნება იყო, თავისებურად უნიკალური, ერთადერთი. ცხოვრობდა თბილისური ცხოვრების წესით. იცნობდა ყველას — დიდსა თუ პატარას, ყველასთან ხალისიანი და კეთილი იყო, მაგრამ გული ბოლომდე ერთი-ორი კაცისათვის თუ გაეხსნია.

ამბობენ, ტემპერამენტი გარკვეულ დაღს ასვამს ადამიანის პიროვნებასო. ალბათ ასეც არის, მაგრამ ტემპერამენტი მთლიანად მაინც ვერ განსაზღვრავს პიროვნებას. გიგლა ფირცხალავას ამოუწურავი ტემპერამენტი ზოგჯერ მოჭარბებული სევდის საბაბიც იყო. ამ დროს ხდებოდა მისი პიროვნების ყოვლად აუხსნელი გაორება.

მან ყველა მუზას თანაბრად მოუხადა ხარკი. პოეტთან პოეტი იყო, მსახიობთან — მსახიობი. უყვარდა ლაპარაკი ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე და ამდენად, ყველა სიახლის კურსში იყო. თუმცა თავის უმთავრეს გატაცებას — მხატვრობას ყველა სხვა მუზაზე მაღლა აყენებდა. აქ ხან პროფესიული მრჩეველი გახლდათ, ხან კი — მიუდგომელი მსაჯული.

იგი დიდი და დაუღალავი მშრომელიც იყო. შრომის სიყვარულმა დახვეწა მისი ხალასი ნიჭი, ბედმა რომ ასე უხვად არგუნა. ქანდაკება ცხოვრების იდეალად მიაჩნდა, მხატვრობა — ძირითად პროფესიად, კარიკატურა ან შარჟი — თვითდამკვიდრების საშუალებად.

თვალი მახვილი ჰქონდა, ფუნჯი — ბასრი, აზრი — ცოცხალი, და როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, ვერ იტანდა ბოროტებას, სიმდაბლეს, უსამართლობას. ადამიანის მანკიერ თვისებებს მოურიდებლად და დაუნდობლად ამიშვლებდა, რადგან იცოდა, რომ მერე უფრო ადვილი იქნებოდა მათი დათრგუნვა.

კიდევ ბევრი გატაცება ჰქონდა.

სიყმაწვილეში, როგორც ყველა თბილისელი, სპორტით ცხოვრობდა. ეს სიყვარული ცხოვრებაში გამოატარა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შემოინახა. კრივი იუმორის გუნებაზე აყენებდა. როგორც მოკრივეზე, მასზე ლეგენდები დადიოდა, მაგრამ ყველა ამ ლეგენდის ავტორი თვითონვე იყო.

ფეხბურთზე საგანგებოდ ფიქრობდა ხოლმე. ფეხბურთელებს ხშირად ხვდებოდა, უსმენდა, კამათობდა, ზოგჯერ ჭკუასაც არიგებდა, მაგრამ — უფრო მეტად თვითონ სწავლობდა.

ადამიანს ყველაზე კარგად მგზავრობაში გაიცნობ და გაიგებ. გიგლა ფირცხალავა დაუღალავი მოგზაურიც იყო. ბევრი მეგობარი შეიძინა ამ სიარულში, ბევრს ჩამოსცილდა და გაემიჯნა, მაგრამ ახლის შეცნობის სურვილი იმდენად დიდი ჰქონდა, რომ მაინც მუდამ მგზავრობისაკენ მიუწევდა გული. გიგლა ფირცხალავასთან ერთად ხშირად ვყოფილვარ საზღვარგარეთ და კარგად ვიცი, რა ფასი აქვს ასეთ კაცთან ახლობლობას უცხო მხარეში.

ჟურნალისტის თანდაყოლილმა ალღომ ადამიანებთან კონტაქტის ფანტასტიკური უნარი გაუღვივა. ესეც ალბათ პიროვნული თვისება გახლდათ. თვითონ რომ ყველასთან ალალი და გულწრფელი იყო, სხვებისგანაც ამას მოითხოვდა.

არგენტინაში ვიყავით ერთად ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. შთაბეჭდილებები უხვად დაუგროვდა, ზოგი უცხოელი მოთამაშე პირადად გაიცნო, ერთ-ორს გაუშინაურდა კიდეც. ერთხელ ცნობილ არგენტინელ ფეხბურთელს ალფრედ დი სტეფანოს გაუბა ლაპარაკი. გეგონებოდათ დიდი ხნის უნახავი ნაცნობები შეხვდნენ ერთმანეთსო.

გიგლამ უცხო ენა არ იცოდა, მაგრამ საუბარი კმაყოფილი და საქმიანი სახით დაამთავრა და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ესეც დი სტეფანო! ხომ გავიგე ყველაფერი, რაც მინდოდა?

რისი გაგება სურდა, დღესაც არ ვიცი, მაგრამ ის კი დავინახე, რომ გამომშვიდობებისას ერთმანეთს ძველი მეგობრებივით ჩამოართვეს ხელი.

ერთხელ ნეაპოლში კურიოზული ამბავი შეემთხვა. თვითონ რომ ფეხბურთის ნაღდი გულშემატკივარი იყო, იტალიელი ტიფოზების გაცნობა განიზრახა უფრო ახლოს, „სამუშაო პირობებში“. ეს ისე სწრაფად მოხდა, ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ შეუერთდა ახალგაზრდა ტიფოზების მოყაყანე ჯგუფს ტრიბუნაზე.

კონტაქტის დამყარება,—ამას უკვე შეჩვეული ვიყავით, — არ გასჭირვებია. როგორც კი თბილისის „დინამო“ ახსენა, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცა: ერთი წლით ადრე ჩვენმა ფეხბურთელებმა სწორედ ამ სტადიონზე ითამაშეს ფრედ „ნაპოლისთან“. ტიფოზებს თურმე კარგად ახსოვდათ ვიტალი დარასელიას მიერ გატანილი გოლი, ახსოვდათ ყოფიანის თამაშიც. გიგლა არ დარჩენილა ვალში. მან, თავის მხრივ, ძოფი გაიხსენა. მასპინძლებმა ავტოგრაფი სთხოვეს, გიგლამ პროგრამის ყდაზე თავისი ავტოპორტრეტი დახატა.

ერთმანეთს გულიანად, მეგობრულად დაემშვიდობნენ — გიგლას გამარჯვებულის სახე ჰქონდა. მაშინ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ერთ-ერთმა ტიფოზმა ჯიბიდან ფული ამოაცალა.

— ფული, ჯანდაბას, — ამბობდა მერე, — თავი სად გამოვყო, რომ თბილისელი კაცი ასე თვალსა და ხელს შუა გამაცურეს?

ტიფოზებთან ახალი კონტაქტის სურვილი აღარ გამოუთქვამს. როგორც ჭეშმარიტი გულშემატკივარი, მათზე ნაწყენი იყო.

ბევრჯერ მიკითხავს გიგლასათვის:

— ამდენი რამ გინახავს და განგიცდია, მეხსიერება კარგი გაქვს, წერა გეხერხება, რატომ არ გინდა, რომ შენი შთაბეჭდილებები ფართო მკითხველს გაუზიარო?

— უსათუოდ დავწერ, — იტყოდა ხოლმე, — უსათუოდ დავწერ ჩემი ცხოვრების მთავარ წიგნს, თუ დამცალდა...

აღარ დასცალდა, სამწუხაროდ.

ნოდარ გუგუშვილი.

ვიტალი დარასელია

ვიტალი დარასელიას ტრაგიკული დაღუპვის დღიდან რედაქციაში უწყვეტ ნაკადად მოდის გულშემატკივრების, სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანების წერილები, ლექსები, ნარკვევები. სიტყვები, რომელიც ერთმა ჟურნალისტმა დაწერა, მთელი ამ კორესპონდენციის გამაერთიანებლად გვესახება:

„ვიტალი დარასელია თითქოს იმისთვის მოვიდა ფეხბურთში, რომ პიროვნული თვითგამოხატვა ეპოვა მასში. ასეთი ფეხბურთელები, ჩვეულებრივ, ნაცრისფერ მასაში არ ითქვიფებიან. მათ თამაშსა და პიროვნებას მუდამ დაჰყვება რაღაც ზედმიწევნით ინდივიდუალური, გამოსაცნობი ნიშნები, რომელთა გამო განსაკუთრებით გვიყვარს და პატივს ვცემთ.

როგორც სპორტსმენი, ის ბედნიერი კაცი იყო, რადგანაც „დინამოს“ ბოლოდროინდელი საგულისხმო მიღწევების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედთაგანი გახლდათ; როგორც ოჯახის მამა, ასევე ბედნიერი ადამიანი იყო, ვინაიდან ახალგაზრდა ქალს ვარსკვლავივით წვრილშვილი ეხვია გარს; როგორც მოქალაქე, იგი ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან, რამეთუ ადრეული ასაკიდან საზოგადო მოღვაწის ალღოთი და მისწრაფებით იყო დაჯილდოებული.

მაგრამ უმთავრესი, რითაც იგი უყვარდა მილიონობით ადამიანს, ეს იყო მისი ფეხბურთი, მისი ხელოვნება, მისი შემოქმედებითი პროფესია....“

ევროპის ერთ-ერთ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩასული სპორტის დამსახურებული ოსტატი ფარნაოზ ჩიკვილაძე ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა...

დღესაც ოცდახუთი წლისაა

ქართული ჭიდაობა ფარნაოზს უფროსმა ძმამ ზაალმა შეაყვარა. სიჭაბუკეში იგი თავისუფალი ჭიდაობითა და სამბოთი იყო გატაცებული, დალვინების ასაკში კი მთელი თავისი ცხოვრება ძიუდოს დაუკავშირა.

მთელი ცხოვრებაო, ვამბობთ, მაგრამ ეს ცხოვრება ხომ მხოლოდ 25 წელს მოიცავს. მაინც რამდენი მოასწრო და რამდენი კიდევ დარჩა გასაკეთებელი.

...მადრიდში დამთავრდა ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. აი, რას წერდა გაზეთი „ლელო“ 1965 წლის 25 აპრილს: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი თანამემამულის ფარნაოზ ჩიკვილაძის წარმატება. ესპანელი აისიბარის დამარცხების შემდეგ ჩიკვილაძემ ნახევარფინალში მოუგო გფრ-ის წარმომადგენელ მენჩიკს. ფინალში ერთმანეთს უნდა შერკინებოდნენ ქართველი ფალავანი და მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ჰოლანდიელი ა. გეეზინკი. მაგრამ ჰოლანდიელს ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფეხი დაუშავდა და ხალიჩაზე ველარ გამოვიდა. და აი, მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ჩიკვილაძე ხელმეორედ დაეჭიდა მენჩიკს. ფარნაოზმა ეს ბრძოლაც მოიგო და მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტული“. და მაინც ყველაზე დიდი სიხარული მას 1963 წელმა მოუტანა. იმ წელიწადს ფარნაოზმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი და შორეულ ინდონეზიაში განეფო-ს თამაშების ჩემპიონიც გახდა. ასევე ბრწყინვალედ გამოდის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა, საფრანგეთსა და ბრაზილიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში, მსოფლიო ჩემპიონატში, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში.

ფარნაოზ ჩიკვილაძის ყველაზე დიდი სიყვარული მაინც ქართული მეცნიერების ტაძარი — უნივერსიტეტი. იყო, სადაც იგი ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასპირანტი გახლდათ.

უაღრესად ამხანაგური და მოსიყვარულე, კეთილი, შუბლგახსნილი და თავმდაბალი — ასეთი დარჩა ფარნაოზი მისი ახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში.

მოგონების გულისტკივილს აორკეცებს იმის გახსენებაც, რომ გუშინდელი დღე — 14 აპრილი ფარნაოზის დაბადების დღეა.

ოლეგ კეტრიაშვილი.

ამას წინათ საქართველოს რადიო-ტელევიზიის მოსკოვის საკორესპონდენტო პუნქტში შევხვდი სახელგანთქმულ საბჭოთა ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნიკიტა სიმონიანს, რომელიც ამჟამად ერევნის „არარატის“ უფროს მწვრთნელად მუშაობს. ვისაუბრეთ ფეხბურთზე და ამ თავად სამაგალითო სპორტსმენმა და გამოჩენილმა აღმზრდელმა ფეხბურთის უპირველს რაინდთა შორის ჩვენი ვოვა მარღანია დასახელა.. სიტყვას ვუთმობ ნიკიტა სიმონიანს:

ვოვა მარღანია

— ვოვა მარღანიასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ჩვენ ერთად დავიწყეთ თამაში სოხუმის მოზარდთა გუნდში. უკვე მაშინ დავმეგობრდით. იმ გუნდში ბევრი ისეთი ბიჭი თამაშობდა, მომავალში უმაღლესი ლიგაც რომ დაამშვენა, თბილისის „დინამოს“ მაისურიც ჩაიცვა... ვოვა მარღანია, ნიაზ ძიაპშიპა, იური ვარდიმიადი (რომელიც ასევე ძალიან ადრე გამოგვაკლდა), იური გრამატიკოპულო, გენადი ბონდარენკო... სოხუმის საფეხბურთო სკოლამ იმ დროისათვის მართლაც არაერთი კარგი ფეხბურთელი შესძინა ჩვენს ქვეყანას.

ვოვა ყველას გვიყვარდა.

გვიყვარდა გულწრფელობისათვის, ერთგულებისათვის, მხიარული ხასიათისათვის, ურთიერთობის საოცარი უნარისათვის, დიდი ბუნებისათვის! შეეძლო ერთბაშად მოენადირებინა ადამიანის გული. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ის იყო ნამდვილი წინამძღოლი და საყოველთაო პატივისცემასაც იმსახურებდა. და მაშინაც კი, იმ ადრეულ სიყმაწვილეშიც, აშკარა იყო — დიდი საფეხბურთო ტალანტი ამკობდა და ნამდვილად დიდი სპორტსმენიც გახდებოდა. შემდეგ ბედმა დაგვაშორა. მე მოსკოვში გადმოვედი, ვოვა კი — თბილისის „დინამოში“. ჰოდა, აი, ჩვენ უკვე მეტოქეებად ვხვდებოდით ერთმანეთს მწვანე მინდორზე. მაგრამ თვით უმძაფრეს სათამაშო მომენტებში, თვით ყველაზე დაძაბული მატჩის დროსაც კი არასდროს დაგვიკარგავს ერთმანეთი — ხან თვალს ჩამიკრავდა, ხელს მომითათუნებდა მხარზე, ერთ-ორ თბილ სიტყვას მეტყოდა!... მოკლედ, გულწრფელად ვმეგობრობდით მაშინაც, როდესაც მოწინააღმდეგე კლუბებში გამოვდიოდით. ჩვენი მეგობრობა არასდროს შენელებულა!

კიდევ ის მინდა გითხრათ, რომ მან მშვენიერი ოჯახი შექმნა. საოცრად უყვარდა მეუღლე — ირინა, შვილი — თენგიზი. ტრაგიკულად შეწყდა დიდი სპორტსმენისა და ადამიანის სიცოცხლე. ჩვენ კი, მისი მეგობრები, ხშირად ვიხსენებთ, და რამდენიც უნდა ვიცოცხლოთ, მუდამ გულსა და არსებაში გვეყოლება გამჯდარი... მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც ახსოვს ნამდვილად დიდებული მეკარე ვლადიმერ მარღანია, და ვინც უკვდავყო მისი სახელი „მარღანიას სახელობის“ ჭაბუკთა ტურნირის დაწესებით!

ვასილ მჭედლიშვილი.

მოსკოვის ოლქის ქალაქ ხიმკიში ახლახან დამთავრდა ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი 1970-71 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის. საქართველოს გუნდმა, რომლის სახელითაც რესპუბლიკის ჩემპიონი — თბილისის „მართვე“ გამოდიოდა (მწვრთნელები — გ. მიქაძე და თ. ოქრუაშვილი), III ადგილი მოიპოვა. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ამ კოლექტივის ერთ-ერთ მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს და სთხოვა მოკლედ ეამბნა ამ ასპარეზობის შესახებ.

შეიძლებოდა წარმატებადაც ჩაგვეთვალა...

— პირველ ყოვლისა, სიამოვნებით მინდა აღვნიშნო იმ სასარგებლო ტრადიციის აღორძინება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია კალათბურთის განვითარებისთვის. ვგულისხმობ უმცროსი ასაკის კალათბურთელთა საკავშირო პირველობას, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შარშან ისევ გაიმართა. მაშინ შეჯიბრებას ჩელიაბინსკმა უმასპინძლა. და აი, წლეულს ქვეყნის უძლიერესი ნორჩი კალათბურთელები კვლავ შეიკრიბნენ, ამჯერად — ხიმკიში. შეჯიბრების მონაწილე ათი გუნდი (თავიანთი რესპუბლიკების ჩემპიონები, რომელთაც უფლება ჰქონდათ, გუნდი სხვა კოლექტივების ხუთი სპორტსმენით გაეძლიერებინათ), ორ ჯგუფად გაყვეს.

ჩვენმა ბიჭებმა ტურნირი წარუმატებლად დაიწყეს — პირველი მატჩი წააგეს მასპინძელთან, რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან — 55:58. მომდევნო შეხვედრებში მათ თანდათან გააუმჯობესეს თამაში და ზედიზედ დაამარცხეს ყირგიზეთის (75:38), ესტონეთისა (67:44), ლენინგრადის (78:47) გუნდები. ფინალში გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: ჯგუფში დაკავებულმა მეორე ადგილმა მხოლოდ ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის უფლება დაგვიტოვა. ეს შანსი ბიჭებმა ხელიდან არ გაუშვეს და შეხვედრა მოუგეს მოსკოველებს — 73:28. ჩემპიონობა მოიპოვეს ლიტველებმა, რომლებმაც ფინალში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს სძლიეს — 68:53.

შარშანდელ მეოთხე ადგილთან შედარებით წლევანდელი „ბრინჯაო“ შეიძლებოდა წინგადადგმულ ნაბიჯადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შედეგით კმაყოფილები ვართ. ჩვენი უმთავრესი შეცდომა ის იყო, რომ სათანადოდ ვერ მოვემზადეთ პირველი მატჩისთვის და წავაგეთ რუსეთის ფედერაციის გუნდთან. ჩვენი ბიჭების თამაშს დაღი დაასვა სასტარტო მღელვარებამ, რამაც სერიოზული შეცდომები გამოიწვია და ოქროს მედლებისთვის ბრძოლის უფლება დაგვაკარგვინა. საერთოდ ფსიქოლოგიური მომზადების მხრივ ჯერჯერობით კიდევ მოვიკოჭლებთ. მაგალითად, შარშან ჩელიაბინსკში პირველი მატჩი წავაგეთ ყაზახეთის საკმაოდ სუსტ გუნდთან. ასე რომ, ამ ნაკლზე ყურადღების გამახვილება გვმართებს.

ხიმკის ტურნირი ნორჩი სპორტსმენებისთვისაც და ჩვენთვისაც — ნაკლებად გამოცდილი მწვრთნელებისთვისაც, მეტად სასარგებლო იყო. აქ თავი მოიყარა უმცროსი ასაკის თითქმის ყველა პერსპექტიულმა კალათბურთელმა. მშვენიერი, ყველა რგოლში კარგად მომზადებული გუნდი ჰყავდა ლიტვას — საბჭოთა კავშირის ახალ ჩემპიონს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს უკრაინელმა, ლატვიელმა და მოსკოველმა კალათბურთელებმა. ნუ შეგაცდენთ დიდი ანგარიში, რომლითაც მოსკოველთა კოლექტივს მოვუგეთ — უბრალოდ, იმ შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს.

თავი გამოიჩინეს დათო თორთლაძემ და გია სულხანიშვილმა. პირველმა საუკეთესო მცველის პრიზი დაიმსახურა, ხოლო მეორე თავის კოლექტივში უძლიერესად აღიარა საგანგებო ჟიურიმ. კარგად ითამაშეს აგრეთვე შალვა ცხვედიანმა და დათო ღლონტმა. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი გუნდის წევრთა უმეტესობა თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელია. ისე კი „მართვე“ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო სკოლისა (დირექტორი ლევან ჩხიკვაძე) და კალინინის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის (დირექტორი გურამ თოხაძე) ბაზაზეა შექმნილი.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო გოგონათა ანალოგიურ საკავშირო ჩემპიონატს, რომელიც პიატიგორსკში ჩატარდა. მართალია, იქ საქართველოს გუნდი (მწვრთნელები როლანდ გელოვანი და ვაჟა პოტაშვილი) IX ადგილზე დარჩა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ჩვენი გოგონების დებიუტი იყო უმცროსი ასაკის მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში, შედეგი საგანგაშო არ უნდა იყოს. თანაც, საქართველოს გუნდიდან საასპარეზოდ გაურკვეველი მიზეზით არ გამოცხადდნენ პერსპექტიული სოხუმელი კალათბურთელები ლია ქაჯაია და ნატაშა პოდობინა. პასუხი კი ალბათ უფროსებს — პირველ ყოვლისა მათ მწვრთნელს — ვლადიმერ ხაშბას უნდა მოვთხოვოთ.

საუბარი ჩაიწერა
დავით ქავთარაძემ.

სურათზე: ტურნირის საუკეთესო მცველი დათო თორთლაძე.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თასები და მათი მფლობელები

დამთავრდა ევროპის საკლუბო ტურნირების გათამაშება კალათბურთში ვაჟთა შორის. ჩვენ დაწვრილებით ვაშუქებდით ამ ტურნირების მსვლელობას, ახლა კი ფინალური მატჩების შესახებ მოგითხრობთ.

ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი „ბარსელონასა“ და „ბანკო დი რომას“ შორის ჟენევაში გაიმართა. შეხვედრას, რომელსაც 6 ათასი მაყურებელი დაესწრო, სჯიდნენ გრიგორიევი (სსრ კავშირი) და რიგასი (საბერძნეთი). მატჩის დასაწყისი იტალიელებს კარგს არაფერს უქადდა. მათ ვერაფერი მოუხერხეს „ბარსელონის“ ლიდერს ხუან ანტონიო სან-ეპიფანიოს, რომლის ტყორცნა დიდი სიზუსტით გამოირჩეოდა. I ტაიმი ესპანელებმა მოიგეს — 42:32. შესვენების შემდეგ მდგომარეობა დაიძაბა. როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს, იტალიელებმა შეძლეს თამაში გარდატეხის შეტანა, უპირველეს ყოვლისა, დაცვაში ორგანიზებული თამაშის წყალობით. ისინი აქტიურ ზონურ დაცვასა და პრესინგს მიმართავდნენ. იტალიელებმა თამაშიდან გამოთიშეს სიბილიო, დე ლა კრუსი და ამერიკელი სტარკი, ხოლო სან-ეპიფანიოს ჩინებული თამაში „ბანკო დი რომას“ დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. იტალიელებმა გაიმარჯვეს — 79:73 და პირველად მოიპოვეს ჩემპიონთა თასი. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ რაიტი (27 ქულა) და კეა (17), ხოლო დამარცხებულთაგან — სან-ეპიფანიო (33).

1982 წლის ზაფხულში „ბანკო დი რომას“ სათავეში ჩაუდგა ცნობილი მწვრთნელი ვალერიო ბიანჩინი, რომელიც მანამდე წარმატებით ხელმძღვანელობდა კანტუს გუნდს. მან გაანახლა კონტრაქტი ყოფილ პროფესიონალებთან, ამერიკელებთან რაიტთან და ჰიუზთან. ჯირარდის, სულფრინისა და პოლიველოსთან ერთად, ამ დუეტმა ჩინებული სასტარტო ხუთეული შექმნა. „ბანკო დი რომამ“ იტალიის ჩემპიონატის პირველ ექვს მატჩში ექვსი გამარჯვება მოიპოვა და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. როგორც „გიგანტი დელ ბასკეტის“ მიმომხილველი აღნიშნავს, ბიანჩინიმ ახლებურად აათამაშა „ბანკო“. მან გათამაშების ბოლომდე არავის დაუთმო ლიდერობა და ოქროს მედლებიც დაისაკუთრა. „ბანკო დი რომა“ წლეულსაც წარმატებით ასპარეზობს ეროვნულ პირველობაში და ლიდერთა ჯგუფის წევრია.

თასების მფლობელთა თასის ფინალშიც ესპანელი და იტალიელი კალათბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს. მადრიდის „რეალისა“ და მილანის „სიმაკის“ მატჩი ბელგიის ქალაქ ოსტენდეში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდა 4 ათასი მაყურებელი. პირველი ტაიმი იტალიელთა უპირატესობით წარიმართა. პრემიერის, დ' ანტონის, ბოზელისა და მენეგინის ზუსტი ტყორცნების წყალობით „სიმაკი“ დაწინაურდა — 38:34. მეორე ტაიმში უკვე ესპანელებმა იგდეს ხელთ თამაშის სადავეები. თავის გუნდს შესანიშნავად ხელმძღვანელობდა კორბალანი. ზუსტი ტყორცნით გამოირჩეოდნენ რულანი, „რეალის“ ამერიკელი მოთამაშეები ჯექსონი და რობინსონი. მატჩის დამთავრებამდე სამი წამით ადრე რობინსონმა ზუსტად ტყორცნა ორი საჯარიმო, რამაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. გაიმარჯვა „რეალმა“ — 82:81. ესპანელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ჯექსონი (27 ქულა), ხოლო იტალიელთაგან — პრემიერი (27) და ლამპერტი (21).

მადრიდის „რეალი“ ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონია. მან დიდ წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სარბიელზეც — შვიდჯერ (1964, 1965, 1967, 1968, 1974, 1978 და 1980) მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ხოლო ოთხჯერ (1976, 1977, 1978, 1982) — საკონტინენტთაშორისო თასი. „რეალის“ ძირითადი გამთამაშებელია ხუან ანტონიო კორბალანი. ეს 29 წლის კალათბურთელი (მისი სიმაღლეა 184 სმ) გუნდის იერიშების სულისჩამდგმელია. გუნდში ამერიკელი ვარსკვლავების რობინსონისა და ჯექსონის ჩარიცხვის შემდეგ „რეალი“ კიდევ უფრო მრისხანე ძალად იქცა. მიმომხილველთა აზრით, ახლა „რეალი“ თვით ესპანეთის ნაკრებზე ძლიერად თამაშობს. ორივე ამერიკელი ფიზიკურად ჩინებულადაა მომზადებული და უაღრესად მაღალი ტექნიკით გამოირჩევა. საუცხოოდ თამაშობს გუნდის ვეტერანი რაფაელ რულანი. ხოლო რომაის სახით „რეალს“ მძლავრი, თანამედროვე ტიპის ცენტრალური თავდამსხმელი ჰყავს. „რეალის“ მწვრთნელია მიგელ ლოლო სანსი.

რადივოე კორაჩის თასის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდნენ საფრანგეთისა და იუგოსლავიის სპორტსმენები, ამჯერად — „ელან ბეარი“ და „ცრვენა ზვეზდა“. პარიზში, პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში გამართულ შეხვედრას 5500 მაყურებელი დაესწრო. ფრანგების აშკარა უპირატესობა პირველივე ტაიმში გამოიკვეთა. ეს ტაიმი მათ 15 ქულით მოიგეს — 49:34. შესვენების შემდეგ ფრანგებმა კიდევ უფრო განამტკიცეს უპირატესობა და ანგარიშში სხვაობაც გაზარდეს — 97:73. „ელან ბეარმა“ პირველად დაისაკუთრა რ. კორაჩის თასი.

მერაბ კალანდაძე.

მექსიკელები ემზადებიან

მას შემდეგ, რაც ფეხბურთელთა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოიპოვა, მექსიკა ინტენსიურად ემზადება ამ სპორტული ზეიმისთვის, მაგრამ ყველაფერი ისე როდი მიმდინარეობს, როგორც ფინალური ტურნირის ორგანიზატორებს სურთ.

კონფლიქტი წარმოიშვა ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციასა და იმ სტადიონის მფლობელთა შორის, რომლებმაც 1986 წელს მსოფლიოს 24 საუკეთესო ნაკრებს უნდა უმასპინძლონ. მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რაფაელ დე კასტილიომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დავა ატყდა ლოჟების თაობაზე, რომლებსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა) უფასოდ უთმობს თავის წევრებს და მსოფლიო პირველობის საპატიო სტუმრებს. ლაპარაკია ქვეყნის ყველაზე დიდ სტადიონ „აცტეკაზე“, რომელიც 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მასპინძელი გახლდათ. მაშინ სტადიონის მფლობელები დათმობაზე წავიდნენ და საორგანიზაციო კომიტეტს 18 ათასი ადგილი გამოუყვეს, ახლა კი უარს ამბობენ ამაზე. დე კასტილიომ, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტიც არის, განაცხადა: თუ კომპრომისს ვერ მივაღწევთ, ორგანიზატორები ადგილობრივი უნივერსიტეტის სტადიონს გამოიყენებენ. „მაგრამ ეს იქნება სამწუხარო გამოსავალი“, — დასძინა მან.

ჯერჯერობით მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-ს სთხოვს გაუგრძელოს მას მომავალი ჩემპიონატის მატჩებისათვის სტადიონების შერჩევის ვადა.

საჭირო გახდა შეეცვალათ მსოფლიო პირველობაზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა რიცხვიც. ესპანეთის ჩემპიონატის გამოცდილებამ მექსიკელები დაარწმუნა, რომ 10 ათასი ერთობ დიდი ციფრია. ესპანეთში ჩავიდა 6 ათასი ჟურნალისტი და არა 10 ათასი, როგორც განზრახული იყო. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა პირველობაზე ხუთი ათასი კორესპონდენტი მიიწვიოს.

—უდავოა, მატჩებს დიდძალი ხალხი მოაწყდება, — აღნიშნა დე კასტილიომ. — ამ მხრივ, ჩვენს ქვეყანაში გამართულმა ჭაბუკთა 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა ოპტიმისტურად განგვაწყო. მექსიკაში ფეხბურთი უპირველესი სპორტია. ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის 32 მატჩს 1,3 მილიონი გულშემატკივარი დაესწრო. ახლახან ორგანიზატორები ფიფა-ს მომავალი მსოფლიო პირველობის ვადებზე შეუთანხმდნენ. საქმე ის არის, რომ ივნისის ბოლოს მექსიკაში წვიმები იწყება და, ბუნებრივია, მასპინძლებს სურთ ჩემპიონატი უფრო ადრე დაიწყონ, ვიდრე ფიფა ვარაუდობს. მაგრამ ამით უკმაყოფილო დარჩა ბევრი ეროვნული ფედერაცია, ვინაიდან მათი ჩემპიონატების ფინიში მსოფლიო პირველობის დასაწყისს ემთხვეოდა. შეთანხმება მაინც მოხერხდა და 1986 წლის ასპარეზობა ესპანეთის ჩემპიონატთან შედარებით, ორი კვირით ადრე აიღებს სტარტს.

მექსიკაში, როგორც თვად ორგანიზატორები იმედოვნებენ, ჩემპიონატის მოწყობას ბევრი ხარჯი არ დასჭირდება, ვინაიდან ფეხბურთელთა შეჯიბრებისთვის თითქმის ყველა სპორტული ნაგებობა მზადაა. მაგრამ, როგორც ირკვევა, პრობლემები მაინც იჩენს თავს, რადგან წინასწარ ყველაფრის განსაზღვრა შეუძლებელია.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების რესპუბლიკური ჩემპიონატი. ბოლო ტურის შედეგები ასეთია: თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 93:78, ბათუმი — თბილისის უნივერსიტეტი — 102:98, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — რუსთავი — 78:77, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — ქუთაისი — 90:70. სამმა გუნდმა დააგროვა ქულების თანაბარი რაოდენობა — 6-6. ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ სატრანსპორტო გაერთიანების კალათბურთელებს და საქართველოს ჩემპიონის წოდებაც მათ ხვდათ წილად, მეორე ადგილზეა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტი.



უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის მატჩები:

„მეტალისტი“ — „სპარტაკი“ 0:2
„შახტიორი“ — „დინამო“ მ. 0:1
„ტორპედო“ „დინამო“ მნ. 0:2

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი“	2	2	0	0	3-0	4
„დინამო“ ბ.	2	2	0	0	3-1	4
„პამირი“	2	2	0	0	2-0	4
„კოლოსი“	2	1	1	0	2-1	3
„ნისტრუ“	2	1	1	0	2-1	3
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	1-0	3
„ტორპედო“ ქ.	2	1	0	1	6-3	2
„ყუბანი“	2	1	0	1	2-2	2
„მინიკი“	2	1	0	1	2-2	2
„ირტიში“	2	1	0	1	1-1	2
„კუზბასი“	2	1	0	1	1-1	2
„გურია“	2	0	2	0	3-3	2
„მეტალურგი“	2	0	2	0	2-2	2
„დაუგავა“	1	0	1	0	1-1	1
ასკ „კარპატი“	1	0	1	0	1-1	1
„ზარია“	2	0	1	1	2-3	1
ასკ ხ.	2	0	1	1	1-2	1
„სპარტაკი“	2	0	1	1	0-1	1
„ტავრია“	2	0	1	1	0-1	1
„ისკრა“	2	0	1	1	1-3	1
„ზვეზდა“	2	0	0	2	0-2	0
„როტორი“	2	0	0	2	2-7	0

თავისებური გამოკითხვა

ესპანურმა გაზეთმა „სპორტმა“ თავის მკითხველებს შორის თავისებური გამოკითხვა მოაწყო — ანკეტის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ ასეთ შეკითხვაზე: „რას გააკეთებდით „ბარსელონის“ შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად, ამ კლუბის პრეზიდენტ ნუნესის ადგილზე რომ ყოფილიყავით?“ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანკეტას „ბარსელონის“ ათეულ ათასობით გულშემატკივარი გამოეხმაურა, მაგრამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა მათ შორის არ ყოფილა. ყველა მათგანი მოითხოვს გუნდის ახლანდელი მწვრთნელის სესარ ლუის მენოტის გადადგომას და მარადონასთვის... ხელფასის დაკლებას.

რედაქტორი ა. გოგელია.

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეთხუთმეტე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 12 (ტანვარჯიში), 21 (ცურვა), 40 (ბადმინტონი).

„სპორტლოტო 5 36-დან: 1 (კალათბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 17 (ციგურაობა).

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 15 აპრილი. გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი“** (თბილისი) — **„კახეთი“** (თელავი). დასაწყისი 17 ს. 30 წ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 25. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 05881